მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №72.08.01.054) ლოჯისტიკური პარკის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

„მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისთვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 20 დეკემბრის N594 დადგენილების და „მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №72.08.01.054) ლოჯისტიკური პარკის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2022 წლის 22 იანვრის 16/ო ბრძანების საფუძველზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა;

საპროექტო ტერიტორია მდებაროებს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მოიცავს ერთ მიწის ნაკვეთს (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №72.08.01.054). დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების ლოჯისტიკურ პარკის მშენებლობა რომელიც შედგება „ბ“ კატეგორიის (შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით);

ლოჯისტიკური შენობისგან (თანამედროვე უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით,) საოფისე ფართისგან, განვითარებული ინფრასტრუქტურისა და ავტოსადგომებისაგან, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 6 საწყობის მომსახურების ოფისების და მოტელის ტიპის სასტუმროს მშენებლობა სასტუმრო და ოფისები ავტობანის სიახლოვეს იქნება განთავსებული ხოლო მათ უკან განვითარდება საწყობები;

დადგენილის ქალაქთმშენებლობითი პარამეტერები ქვეზონის შესაბამისად(საწარომოო ზონა 1(იზ1)) მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ3-0.2-დან;

საპროექტო ტერიტორიაზე ლოჯისტიკური პარკის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში 2022 წლის 28 მარტამდე შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge